საიას ძალისხმევით საჯარო ინფორმაციის გაცემა უფრო ხელმისაწვდომი ხდება

20 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება გამოიტანა.

იურისტთა ასოციაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდა. საიას განცხადებები საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე სხვადასხვა საჯარო დაწესებულებისა და სასამართლო ინსტანციების მიერ სწორედ გასაჩივრებულ დებულებებზე დაყრდნობით არ კმაყოფილდებოდა. სადავო ნორმათა ტექსტის მათ მიერ აღიარებული ინტერპრეტაცია

გაუმართლებლად - მონაცემთა შინაარსის შეფასების გარეშე ზღუდავდა გარკვეულ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის შედეგად შექმნილი ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობას. ამგვარი შეზღუდვა, საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ნებისმიერი ინფორმაცია ღიაა გარდა სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოებისა (41-ე მუხლი) ან გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეზღუდვა უკიდურესი სოციალური საჭიროებით არის განპირობებული სხვა თანაბარზომიერი სიკეთის გადასარჩენად (24-ე მუხლი).

საკონსტიტუციო სასამართლომ გასაჩივრებული დებულებებით გამოწვეული ზიანი არა მათი კონსტიტუციასთან შეუსაბამობის, არამედ არასწორი გამოყენების შედეგად მიიჩნია. სასამართლომ გადაწყვეტილებაში მოცემული გასაჩივრებული დებულებების რამდენიმე განმარტებით გაზარდა მათი დამკვიდრებული მნიშვნელობა და ინფორმაციის შემზღუდველი არაკონსტიტუციური პრაქტიკის გამოსწორების შესაძლებლობა შექმნა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება